საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) 2011 წლის საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

კანონმდებლობა და მეთოდოლოგია - - - - - - - - - - - - - - - - 3

ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი - - - - - 10

2011 წლის ბიუჯეტი - 12

2011 წელს განხორციელებული ცვლილებები - - - - - - - - - 15

საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - - - - - - - - - - - - - 29

არსებული პრობლემები - 32

გეგმები 2012 წლისთვის - 33

დანართი - 34

კანონმდებლობა და მეთოდოლოგია

<u>კანონმდებლობა</u>

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად. საბჭოს წევრების დანიშვნის წესზე და საბჭოს ფუნქციებზე საუბარი იქნება შემდეგ თავში.

სამსახური შექმნილია "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე. გარდა ამისა, სამსახური ფუნქციონირებს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის საფუძველზეც.

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულებით დამტკიცებულია "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება".

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქსტატის საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს:

- **პროფესიული დამოუკიდებლობა** – სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ან/და დაინტერესებული ჯგუფების გავლენისგან დამოუკიდებლად;
- **ობიექტურობა** – სტატისტიკის წარმოების და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს სისტემატურობა, საიმედოობა და მიუკერძოებლობა, რაც გულისხმობს სტატისტიკის წარმოებას პროფესიული და ეთიკური სტანდარტების საფუძველზე, აგრეთვე განხორციელებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გამჭვირვალობას, ყველა მომხმარებლისთვის სტატისტიკური მონაცემების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- **სანდოობა** – სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანმიმდევრულად, რაც გულისხმობს სტატისტიკური სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და რესურსების შესარჩევად მეცნიერული კრიტერიუმების გამოყენებას, აგრეთვე სტატისტიკის წარმოებისათვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგიის საჯაროობას;
- **სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალობა** – დაცული უნდა იქნეს დაკვირვების ერთეულთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა სტატისტიკური მიზნით, ადმინისტრაციული თუ სხვა წყაროებიდან. აკრძალულია ამ ინფორმაციის არასტატისტიკური მიზნით გამოყენება ან მისი უკანონო გავრცელება;
- **ეფექტიანობა** – სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯი უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობისა და მიღებული სარგებლის პროპორციული.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის სისტემის კოორდინატორ დაწესებულებას. კანონის თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ახორციელებს

სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ეფექტიან დანერგვას.

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა განსაზღვრავს წლის განმავლობაში საქსტატის მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი მონაცემების, პერიოდულობის და გამოქვეყნების ვადების მითითებით. შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების 2011 წლის პროგრამა დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის №10/05/08 განკარგულებით.

სტატსამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიაწოდონ საქსტატს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.

სტატისტიკური მონაცემები საჯაროა, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებითაც შესაძლებელია დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირება.

ძირითადი სამართლებრივი აქტები, რომლითაც საქსტატი 2011 წელს ხელმძღვანელობდა, შემდეგია:

1. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონი;
2. "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონი;
3. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება";
4. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის №10/05/08 განკარგულებით დამტკიცებული "სტატისტიკური სამუშაოების 2011 წლის პროგრამა";
5. საქსტატის საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის №3 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულება.

<u>მეთოდოლოგია</u>

კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას. შესაბამისად, საქსტატი მის მიერ წარმოებულ ყველა სტატისტიკურ კვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად სპეციალურად შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარებით. საქსტატის მიერ წარმოებული ძირითადი კვლევები (მათ შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები), რაც ოფიციალურ სტატისტიკას წარმოადგენს შემდეგია:

1. ეროვნული ანგარიშები (მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული შემოსავალი);
2. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა (საგარეო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები);
3. ფასების სტატისტიკური კვლევა (სამომხმარებლო ფასების ინდექსი – ინფლაცია, მწარმოებელთა ფასების ინდექსი);
4. სოციალური სტატისტიკა და მათ შორის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა და შრომის ბაზრის სტატისტიკური კვლევა (სიღარიბის მაჩვენებლები, საარსებო მინიმუმი, შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, დასაქმება, ხელფასები, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის და სამართლებრივი სტატისტიკა);
5. მოსახლეობა და დემოგრაფია (მოსახლეობის რიცხოვნობა, დაბადება და გარდაცვალება, ქორწინება და განქორწინება, მიგრაცია);
6. ბიზნეს სტატისტიკა (ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორის გამოშვების, ბრუნვის და დასაქმების მაჩვენებლები, მრეწველობის, მშენებლობის და მომსახურების სფეროს სტატისტიკა);
7. სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევა, გარემოს დაცვის სტატისტიკა და სასურსათო უსაფრთხოება.

ეროვნულ ანგარიშებში საქსტატმა 2011 წელს იხელმძღვანელა შემდეგი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით:

1. "ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1993" (SNA - System of National Accounts 1993), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 1993 წელი;
2. "დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა" (Measuring the Non-Observed Economy), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2002 წელი.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევაში გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდოლოგია:

1. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა" (International Merchandise Trade Statistics), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2004 წელი;
2. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2007, Harmonized Commodity Description and Coding System);
3. "პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება" (OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2008 წელი, მეოთხე გამოცემა;
4. "პირდაპირი ინვესტიციების კოორდინირებული გამოკვლევის სახელმძღვანელო" (The Coordinated Direct Investment Survey Guide), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წელი;
5. "საგარეო ვალის სტატისტიკა" (External Debt Statistics), ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე – UNCTAD, ვაშინგტონი, აშშ, 2003 წელი;

6. კითხვარი „მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“ (კვარტალური, წლიური).

ფასების სტატისტიკაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

1. “სამომხმარებლო ფასების ინდექსი” (Consumer Price Index, ILO Manual), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 1993;
2. სახელმძღვანელო “სამომხმარებლო ფასების ინდექსი” (Consumer Price Index Manual, IMF), საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
3. “სამომხმარებლო ფასების ინდექსების წარმოების პრაქტიკული სახელმძღვანელო” (Practical Guide to Producing Consumer Price Indices), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, 1993-2007;
5. სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის და ეროვნული ანგარიშების მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე და შედგება მომსახურებისა და საქონელ-წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ტიპიური მომხმარებელი შეიძენს. თითოეულ საქონელსა და მომსახურებას მოხმარების პროპორციულად მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. კალათა შეიცავდა 266 საქონელ-წარმომადგენელს. მისი განახლება ხორციელდებოდა 3 წელიწადში ერთხელ. 2011 წლის ბოლოს, საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებით, შემუშავდა და დამტკიცდა განახლებული სამომხმარებლო კალათა. საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2012 წლიდან სამომხმარებლო კალათის განახლება ყოველწიურად განხორციელდება. მანამდე არსებული სამომხმხარებლო კალათა დამტკიცებული იყო და მოქმედებდა 2010 წლის 1 იანვრიდან.
6. სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველთვიურად შესაბამისი კითხვარების საფუძველზე: მონაცემები სამომხმარებლო ფასების და ტარიფების შესახებ და სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა, მშენებლობაში და სატვირთო გადაზიდვებზე არსებული ფასების შესახებ.

სოციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში (შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, შრომის სტატისტიკა, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის და სამართლებრივი სტატისტიკა) გამოიყენებოდა შემდეგი მეთოდოლოგია:

1. შინამეურნეობების გამოკვლევის სახელმძღვანელო (Handbook of Household Surveys), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 1984 წელი;
2. კითხვარები:
   - შინდა 01 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – საწყისი ინტერვიუ;
   - შინდა 02 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – საკონტროლო ბარათი;
   - შინდა 03 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – ხარჯების დღიური;
   - შინდა 04 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – ხარჯების კვარტალური კითხვარი;
   - შინდა 05 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – ტრანსფერტები და ქონებიდან შემოსავლები, დანაზოგები;

- შინდა 05-1 –შინამეურნეობებზე დაკვირვება – დასაქმებისა და შემოსავლების კითხვარი;
- შინდა 07 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – უარების ფურცელი;
- შინდა 09 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე მისაწვდომობის გამოკვლევა.

3. თანამედროვე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე (Current International Recommendations on Labour Statistics, ILO), 1998 წლის გამოცემა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია;

4. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა: დასაქმება, უმუშევრობა და არასრული დასაქმება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო), (Hussmanns, R., Mehran, F., Verma, V. Surveys of Economically Active Population, Employment, Unemployment and Underemployment), რ. ჰუსმანსი, ფ. მერანი, ვ. ვერმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია, 1994 წელი;

5. „დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების გაანგარიშების მეთოდიკა – თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენების საკითხები“, (Measurement of employment, unemployment and underemployment – Current international standards and issues in their application, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია;

6. ძირითადი ცნებები და განმარტებები შრომის სტატისტიკაში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO);

7. „ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებული სისტემა“ (An Integrated System of Wages Statistics, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჟენევა, შვეიცარია, 1994 წელი;

8. კითხვარები:
   - სტატისტიკური გამოკვლევა – „მონაცემები შრომის შესახებ”, კითხვარი N7-2-01 (წლიური);
   - სტატისტიკური გამოკვლევა – „მონაცემები შრომის შესახებ”, კითხვარი N7-2-02 (კვარტალური).

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულებების აღკვეთის და სისხლის სამართლის ვენის განყოფილების სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის და პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტის რეკომენდაციები;

10. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის რეკომენდაციები (განათლება, მეცნიერება, კულტურა);

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) რეკომენდაციები გენდერული სტატისტიკის სფეროში;

12. კითხვარები:
   - მონაცემები მუზეუმის მუშაობის შესახებ, N7-3-3
   - მონაცემები თეატრის მუშაობის შესახებ, N7-3-4.

მოსახლეობის და დემოგრაფიის სტატისტიკის ძირითადი სახელმძღვანელო მეთოდოლოგიებია:

1. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერისთვის (Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, ჟენევა, 2006 წელი;
2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები (Principles and Recommendations for a Vital Statistics System, UN), მეორე შესწორებული გამოცემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2001 წელი;
3. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2005 წელი, თბილისი.

ბიზნეს სტატისტიკაში გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდოლოგია:

1. "სტატისტიკური მოთხოვნების კრებული (Statistical Requirements Compendium, Eurostat), ევროსტატი, 2004 და 2009 წლების გამოცემები;
2. მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - განმარტებები და რეკომენდაციები" (Methodology of Short-Term Business Statistics (Interpretation and Guidelines), Eurostat), ევროსტატი, 2006 წელი;
3. "მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - თანმხლები დოკუმენტები" (Methodology of Short-Term Business Statistics (Associated Documents), Eurostat), 2006 წელი, ევროსტატი);
4. "საერთაშორისო რეკომენდაციები მშენებლობის სტატისტიკისათვის" (International Recommendations for Construction Statistics, UNSD), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახური, 1997 წელი;
5. "ახსნა-განმარტებები სამშენებლო საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის", გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 1997 წელი;
6. "ენერგეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელო" (Energy Statistics Manual, OECD), ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო;
7. "საერთაშორისო რეკომენდაციები ვაჭრობის სტატისტიკისათვის" (International Recommendations for Distributive Trade Statistics, UN), გაეროს სტატისტიკის სამსახური, 2009 წელი);
8. "სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მეთოდოლოგია" (Road Freight Transport Methodology, Eurostat) ევროსტატი, 2008 წელი;
9. "მომსახურების სტატისტიკის განვითარება: "მომსახურების სტატისტიკა მოკლევადიან ბიზნეს სტატისტიკაში" სემინარის მასალები (Evolution of Service Statistics: Proceedings of the seminar on "Service Statistics Within Short-term Business Statistics, Eurostat), ევროსტატი, 2002 წელი;
10. "ტრანსპორტის სტატისტიკის გლოსარიუმი" (Glossary for Transport Statistics, Eurostat), მესამე გამოცემა, ევროსტატი, 2003 წელი;
11. "ბიზნეს რეგისტრი: სარეკომენდაციო სახელმძღვანელო" (Business Register: Recommendations Manual, Eurostat), ევროსტატი, 2003 წელი;
12. "ევროსტატის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ბიზნეს დემოგრაფიის სტატისტიკაზე" (Eurostat – OECD Manual on Business Demography Statistics), ევროსტატი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2007 წელი;

13. “ადმინისტრაციული წყაროების გამოყენება ბიზნეს სტატისტიკის მიზნებისათვის: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო” (Use of Administrative Sources for Business Statistics Purposes: Handbook on Good Practices, Eurostat), ევროსტატი, 1999 წელი;

14. კითხვარები:

ა) საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური);

ბ) ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზების გამოკვლევა (კვარტალური);

გ) საწარმოთა (იურიდიულ პირთა) სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);

დ) ინდივიდუალურ მეწარმეთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);

ე) არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევა (წლიური);

ვ) სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევა (წლიური);

ზ) ბაზრების, ბაზრობების და ბაზრობის ტიპის საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);

თ) მონაცემები მშენებლობაზე გაცემული ნებართვების შესახებ (კვარტალური);

ი) მონაცემები დამთავრებული მშენებლობის შესახებ (კვარტალური).

სასოფლო მეურნეობების შერჩევით გამოკვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

1. “სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების ჩატარება”, FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია, №6, (Conducting Agricultural Censuses and Surveys, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომი, 1996;

2. “ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების სისტემა, ტ.1 - რეკომენდაციები სასოფლო სამეურნეო აღწერათა პროგრამისათვის”. FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია, №11, (A System of Integrated Agricultural Censuses and Surveys, Vol. 1 World Programme for the Census of Agriculture, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) რომი, 2005.

3. **კითხვარები:** ა) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის საწყისი გამოკითხვის კითხვარი; ბ) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის კვარტალური გამოკითხვის კითხვარი; გ) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის დასკვნითი გამოკითხვის კითხვარი.

ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონის შესაბამისად, საქსტატთან ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო, რომელიც შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისგან. საბჭოს სამი წევრი საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონით დადგენილი წესით.

საბჭოს ფუნქციებია:

1) საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

2) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

3) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

4) სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;

5) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიის დამტკიცება;

6) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

7) საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;

8) საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

9) საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;

10) „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის №3 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით.

2011 წლის 1 იანვრის მდომარეობით, საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განსაზღვრული იყო 149 საშტატო ერთეულით (97 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 52 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში). აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედიოდა 13 დარგობრივი სამმართველო (მეთოდოლოგიის სამმართველო, ეროვნული ანგარიშების სამმართველო, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სამმართველო, ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, ფასების სტატისტიკის სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის სამმართველო, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო, აღმასრულებელი დირექტორის აპარატი (სამმართველოს

სტატუსით), შიდა აუდიტის სამმართველო, იურიდიულ საკითხთა სამმართველო, ადმინისტრაციული სამმართველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო და 8 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სამმართველო, გურჯაანის სამმართველო, გორის სამმართველო, ქუთაისის სამმართველო, ბორჯომის სამმართველო, მარნეულის სამმართველო, ფოთის სტატისტიკის სამმართველო და ბათუმის სამმართველო **(იხილეთ დანართი 1)**.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 25 მაისის №281 ბრძანებულებით ცვლილება და დამატება შევიდა საქსტატის დებულებაში და გაუქმდა იურიდიულ საკითხთა სამმართველო და მისი ფუნქციები დაემატა დირექტორის აპარატს. ადგილმდებარეობა და დასახელებები შეეცვალა გურჯაანისა და მარნეულის სამმართველოებს და დაერქვა თელავის და რუსთავის სამმართველოები. თბილისის სამმართველო გარდაიქმნა თბილისის სტატისტიკის ბიუროდ. ცვლილება ამოქმედდა 2011 წლის 1 ივლისიდან **(იხილეთ დანართი №2).**

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 20 დეკემბრის №836 ბრძანებულებით საქსტატის დებულებაში შევიდა კიდევ ერთი ცვლილება და გაუქმდა მეთოდოლოგიის სამმართველო, რომლის ფუნქციებიც დაემატა დირექტორის აპარატს და დარგობრივ სამმართველოებს. ცვლილება ამოქმედდა 2012 წლის 1 იანვრიდან. 2012 წლის 1 იანვრისთვის ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ორგანოებში საშტატო რიცხოვნობამ შეადგინა 96 და 53 ერთეული, სულ 149 **(იხილეთ დანართი №3)**.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 25 მაისის №281 ბრძანებულების შესაბამისად საქსტატში იურიდიულ საკითხთა სამმართველოს გაუქმებასთან დაკავშირებით განხორციელდა შტატების გადანაწილება (საერთო რიცხოვნობა არ შეცვლილა), კერძოდ 1 საშტატო ერთეული (მთავარი იურიდიული მრჩეველი) გადატანილი იქნა აღმასრულებელი დირექტორის აპარატში, ხოლო 2 ერთეული – ადმინისტრაციულ სამმართველოში.

2011 წლის განმვალობაში განხორციელდა საქსტატის სამმართველოების შიდასტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამმართველოში გაერთიანდა ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება და კანცელარია და ეწოდა ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება, ასევე ამავე წლის დეკემბერში მიღებული იქნა გადაწყვეტილება გაუქმებულიყო ფასების სტატისტიკის სამმართველოს დაყოფა განყოფილებებად (სამომხმარებლო ფასების განყოფილება და მწარმოებელთა ფასების განყოფილება), რაც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 იანვრიდან.

2011 წლის ბიუჯეტი

საქსტატს დაფინანსების ორი წყარო გააჩნია: სახელმწიფო ბიუჯეტი და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

"საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 4 512 000 ლარი. მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 4 201 000 ლარი, კრედიტები და გრანტები 311 000 ლარი.

საანგარიშო წლის განმავლობაში, "2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის და "საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადანაწილება) ასიგნებებში, რის შედეგადაც დაზუსტებული გეგმა-ხარჯი ჩამოყალიბდა თანდართული სახით **(დანართი №4)**. აღნიშნული სახსრების ხარჯვას საქსტატი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან "სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქსტატს "ს/ს "რესპუბლიკა ბანკი"-ს ცენტრალურ ფილიალში გახსნილი აქვს ანგარიში, სადაც ხორციელდება საქსტატის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება და ხარჯვა. საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ხარჯვა ხორციელდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად.

2011 წელს საქსტატის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 4 007 377 ლარი. მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები – 3 698 372 ლარი, კრედიტები და გრანტები – 309 005 ლარი. გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ათვისებულია 89%-ით, მათ შორის კრედიტებისა და გრანტების ნაწილში - 99 %-ით. **(დანართი №4, დანართი №5).**

ეკონომიკური საქმიანობიდან 2011 წელს მიღებულ იქნა 324 887 ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 299 114 ლარი. (**დანართი №6**).

2011 წლის განმავლობაში საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 149 ერთეულს. რეორგანიზაციის შედეგად თვის სახელფასო ფონდი შემცირდა 103 550 ლარიდან 103 200 ლარამდე **(დანართი №7).**

სსიპ "საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საქსტატი"-ს აპარატი (გრანტების ჩათვლით)

2011 წლის საქსტატის აპარატის ხარჯებმა შეადგინა 2 566 858 ლარი. მათ შორის:

- ხელფასი – 1 173 726 ლარი;
- პრემია – 288 870 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 288 142 ლარი
- მივლინება – 13 842 ლარი;
- ოფისი – 318 811 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი – 13 679 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 70 973 ლარი;

- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 160 402 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა – 21 492 ლარი;
- სხვა ხარჯები – 20 282 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა – 76 570 ლარი;
- ვალდებულებების კლება – 120 094 ლარი.

2011 წლის ასიგნებების ეკონომიის ხარჯზე გასტუმრებულია სასამართლო გადაწყვეტილებითა და სააღსრულებო ფურცლებით საქსტატისთვის დაკისრებული, 1998-2002 წლების სახელფასო დავალიანებები 120 094 ლარის ოდენობით, სულ 278 პირის მიმართ.

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 677 911 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 655 184 ლარი;
- მივლინება – 13 580 ლარი;
- ოფისი – 7 000 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 2 147 ლარი.

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (გრანტის ჩათვლით)

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 120 281 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 114 273 ლარი;
- მივლინება – 6 008 ლარი;

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის პროგრამა

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 367 335 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 358 283 ლარი;
- მივლინება – 9 052 ლარი.

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 274 990 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 264 494 ლარი;
- მივლინება – 10 496 ლარი.

2011 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

2011 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 325 425 ლარი. მათ შორის:

- გაეროს განვითარების ფონდიდან, სოციალური დაუცველობის კვლევის პროექტიდან მიღებულია დაფინანსება – 92 898 ლარი;

- საქართველოს აგრობიზნესის განვითარების ფონდიდან, ვეტერინარული მომსახურების შესახებ სასოფლო მეურნეობების გამოკვლევის ფარგლებში – 174 493 ლარი;
- გაეროს ბავშვთა ფონდი (ანალიტიკური ანგარიში სოციალური სტატისტიკის ახალი ინდიკატორების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით) – 8 200 ლარი;
- სხვა ფასიანი მომსახურება – 49 834 ლარი.

2011 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეული ხარჯები და გადასახადები

2011 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 303 894 ლარი. მათ შორის:

- გაეროს განვითარების ფონდიდან, სოციალური დაუცველობის კვლევის პროექტის ხარჯი – 85 338 ლარი;
- საქართველოს აგრობიზნესის განვითარების ფონდიდან, ვეტერინარული მომსახურების შესახებ სასოფლო მეურნეობების გამოკვლევის ხარჯი – 170 612 ლარი;
- გაეროს ბავშვთა ფონდის (ანალიტიკური ანგარიში, გენდერი) კვლევის ხარჯი – 8 200 ლარი;
- საქსტატის სხვა შემოსავლებიდან გაწეულია ხარჯი 35 503 ლარი (თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებასა, საოფისე ხარჯებისა და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების დასაფარად).
- გარდა ამისა დ.ღ.გ.-ს სახით გადახდილია 4 241 ლარი.

2011 წელს განხორციელებული ცვლილებები

2011 წელს სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა და დაინერგა ბევრი სიახლე. ამ ცვლილებების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით. ესენია:

- კვლევების მეთოდების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება;
- დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან;
- სტატისტიკური გამოკვლევების აქტიური მონიტორინგი;
- მომხმარებელთა მომსახურება;
- საერთაშორისო თანამშრომლობა (იხ. შემდეგი თავი).

კვლევების მეთოდების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება

ზოგადად, სამსახურის მუშაობის ხარისხის შეფასების საუკეთესო კრიტერიუმია კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება. მათგან მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის სტატისტიკური შესაძლებლობების ინდექსი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) სტანდარტების და ნორმების შესაბამისობის ანგარიში და ევროსტატის გლობალური შეფასება.

2011 წელს ოფიციალურად გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკის 2010 სტატისტიკური შესაძლებლობების ინდექსი (2010 Statistical Capacity Indicator). მოხსენების შესაბამისად, საქართველოს სტატისტიკური სისტემა 2010 წელს შეფასდა 100-დან 94 ქულით. შედარებისთვის – 2004 წელს აღნიშნული მონაცემით საქართველო სტატისტიკის სისტემა შეფასდა 67 ქულით, ხოლო 2009 წელს 88 ქულით. განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 65 ქულას შეადგენს. მსოფლიო ბანკი აღნიშნულ ინდექსს ანგარიშობს სამი ძირითადი კრიტერიუმის საფუძველზე. ესენია: მეთოდოლოგია, მონაცემთა წყაროები და მონაცემთა გამოქვეყნების პერიოდულობა და სიხშირე. საქართველოს სტატისტიკური სისტემა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით შემდეგნაირად შეფასდა:

- მეთოდოლოგია – 90;
- მონაცემთა წყაროები – 100;
- პერიოდულობა და სიხშირე – 93.

რაც შეეხება, სსფ-ის სტანდარტების და ნორმების შესაბამისობის ანგარიშის (ROSC) მისიას, ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის ხარისხის შემოწმების მიზნით მისიამ 2011 წლის ოქტომბერში იმუშავა საქსტატში, ფინანსთა სამინისტროში და ეროვნულ ბანკში. მთლიანობაში, საქართველოს სტატისტიკური სისტემა შეფასდა დადებითად და გაცილებით მაღალი შეფასება დაიმსახურა განვლილ პერიოდთან (2002 წელი) შედარებით. გამოითქვა რიგი რეკომენდაციები და შენიშვნები, რომელთა უმრავლესობა უკვე გათვალისწინებული და შესრულებულია. მისიის საბოლოო მოხსენება განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე.

გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმება, რომ ევროსტატი განახორციელებს საქართველოს სტატისტიკის გლობალურ შეფასებას 2012 წლის შემოდგომაზე.

საქსტატის საბჭოს მიერ 2010 წლის ბოლოს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2011 წლიდან შემცირდა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების ვადები. კერძოდ:

- მთლიანი შიდა პროდუქტის კვარტალური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 5 დღით და ნაცვლად 85-ე დღისა, გამოქვეყნდება მე-80 დღეს;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველკვარტალური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 5 დღით და ნაცვლად 75-ე დღისა, გამოქვეყნდება 70-ე დღეს;
- ბიზნეს სტატისტიკის კვარტალური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 5 დღით და ნაცვლად 70-ე დღისა, გამოქვეყნდება 65-ე დღეს;
- ინფლაციის ყოველთვიური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 2 დღით და ნაცვლად მომდევნო თვის 5 რიცხვისა, გამოქვეყნდება 3 რიცხვში;
- 2011 წლიდან ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები (შობადობა, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება) ქვეყნდება წელიწადში ორჯერ.

2011 წლის ბოლოს, საქსტატის საბჭომ კიდევ რამდენიმე სტატისტიკური მაჩვენებლის გავრცელების კალენდარი შეცვალა, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლიდან. კერძოდ:

- საგარეო ვაჭრობის პირველადი მონაცემები გამოქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-16 დღეს. მანამდე მხოლოდ 24-ე დღეს ხდებოდა ყოველთვიური საგარეო ვაჭრობის მონაცემების გამოქვეყნება;
- მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 15 ნოემბერს, ნაცვლად 30 ნოემბრისა;
- 15 დღით შემცირდა ბიზნეს სტატისტიკის დაზუსტებული წლიური მონაცემების გამოქვეყნება;
- ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები გამოქვეყნდება 1 თვით ადრე.

2011 წლის ბოლოს შემუშავდა და საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებით განახლდა ინფლაციის დათვლის სამომხმარებლო კალათა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას. კალათის განახლება განხორციელდა ევროსტატის რეკომენდაციის საფუძველზე. განახლებული კალათა ასახავს მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას და უფრო საიმედოს ხდის ინფლაციის მაჩვენებელს. მეთოდოლოგიის მიხედვით, ყველა ქვეყანა პერიოდულად ახდენს სამომხმარებლო კალათის განახლებას. საქართველოში კალათა ბოლოს განახლდა 2010 წლის იანვარში. განვითარებული ქვეყნები კალათის განახლებას ახორციელებენ ყოველწლიურად, ხოლო განვითარებადი ქვეყნები განსხვავებული პერიოდულობით. საქსტატის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2012 წლიდან სამომხმარებლო კალათა განახლდება ყოველწლიურად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე განხორციელდა ფასების სტატისტიკის კვლევაში. USAID World Learning-ის დახმარებით ინფლაციის საველე სამუშაოებში პირველად დაინერგა მინი კომპიუტერებით ფასების აღრიცხვა. თანამედროვე ტექნოლოგიებზე გადასვლამ ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად დაზოგა დრო და რესურსები, ხოლო მეორეს მხრივ, შესაბამისმა პროგრამულმა უზრუნველყოფამ კიდევ უფრო სანდო და საიმედო გახადა ინფლაციის მაჩვენებელი.

პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შერჩევის ბაზა ბიზნეს სტატისტიკაში, სოფლის მეურნეობის

სტატისტიკურ გამოკვლევაში და შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევაში.

საქსტატის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი რამდენიმე მიმართულებით შვედეთის სტატისტიკის, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, და მილენიუმის განვითარების პროგრამის დახმარებით.

მსოფლიო ბანკის და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით საქართველო ჩაერთო საერთაშორისო შედარებების პროგრამაში (ICP) სომხეთის სტატისტიკის სამსახურთან ორმხრივი ფასების შედარებების პროექტის საფუძველზე. 2011 წელს ჩატარდა სავლე სამუშაოები სამომხმარებლო, საინვესტიციო და სამშენებლო საქონლის ფასების რეგისტრაციის მიზნით. საერთაშორისო შედარებების პროგრამას ახორციელებს მსოფლიო ბანკი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). მის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს ვალუტების მყიდველობითუნარიანობის პარიტეტი (PPP).

2011 წლის სექტემბერში გამარტივდა და შემცირდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარები. კერძოდ, გაუქმდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარი შინდა 09, საიდანაც აუცილებელი კითხვები გადანაწილდა დანარჩენ კითხვარებზე. კითხვარების გამარტივება შეამცირებს ინტერვიუს ხანგრძლივობას და კიდევ უფრო ხარისხიანს გახდის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებულ მონაცემებს.

2011 წელს კიდევ ერთი სიახლეა ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიაში, სადაც საქსტატმა პირველად დაითვალა და ოფიციალურად გამოაქვეყნა აგრარული წარმოების და ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში.

დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან

თანამედროვე სტატისტიკური სამსახურების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია აქტიური დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. დიალოგის ფორმატი, პირველ რიგში ხელს უწყობს სტატისტიკის სამსახურს, რათა დაინახოს ინფორმაციის მომხმარებელთა საჭიროებები და მომხმარებელთა მხრიდან შეაფასოს ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი და ხელმისაწვდომობა. ხოლო მეორეს მხრივ, სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ დეტალურად გაეცნონ სტატისტიკის სამსახურის საქმიანობას, გამოყენებულ მეთოდოლოგიას თუ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პერიოდულობას.

როგორც 2010, ისე 2011 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავების დროს შედგა რამდენიმე შეხვედრა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა სხვადასხვა წრეებთან. საქსტატმა მსოფლიო ბანკთან ერთად მოაწყო გაფართოებული შეხვედრა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან, სადაც შედგა სტრატეგიის პროექტის პრეზენტაცია. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მთავრობის, არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის, უმაღლესი სასწავლებლების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სტრატეგიის პროექტი გადაიხედა და ჩასწორდა შეხვედრაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. შემდგომში ჩატარდა საქსტატის და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების კიდევ ერთი შეხვედრა სტატისტიკური ინფორმაციის

მომხმარებლების ფართო აუდიტორიასთან, სადაც წარდგენილი იქნა უკვე მიღებული და დამტკიცებული პროექტი.

გაგრძელდა თანამშრომლობა ბიზნეს სექტორთან და დაინერგა საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან თემატური შეხვედრების ფორმატი, სადაც ეტაპობრივად განიხილებოდა ყველა ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგია. დამატებით, დაიწყო თანამშრომლობა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან და ამერიკის სავაჭრო პალატასთან.

2012 წლის თებერვალში 2010-2011 წლებში ბიზნეს სექტორთან აქტიური თანამშრომლობისთვის სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სპეციალური სერტიფიკატით დაჯილდოვდა.

გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ილიას უნივერსიტეტთან, რომლის საფუძველზე მოეწყო გაცნობითი შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, 2012 წლის განმავლობაში მოეწყობა საქსტატის თანამშრომლების და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პერიოდული შეხვედრები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ევროკავშირის ერთობლივი პროექტი "სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაცია მოქმედებისთვის" ფარგლებში, საქსტატმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უმასპინძლეს სასურსათო უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მომხმარებელთა სამუშაო შეხვედრას.

სტატისტიკური გამოკვლევების აქტიური მონიტორინგი

2011 წელს გაგრძელდა აქტიური მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავს საქსტატის თანამშრომლების (განსაკუთრებით ინტერვიუერების) მუშაობის ხარისხის შემოწმებას. მონიტორინგის შედეგები საშუალებას იძლევა ეფექტურად გადახალისდეს ინტერვიუერების ქსელი. გარდა ამისა, მოქმედებდა სატელეფონო მონიტორინგი და ცხელი ხაზი.

განხორციელდა 2010 წლის III-IV კვარტალების შედეგების საფუძველზე ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს ყველა განყოფილების აუდიტორული შემოწმება. გადამოწმდა ინტერვიუერთა მიერ შევსებული და საქსტატში წარმოდგენილი ყველა კითხვარი. ამასთან ერთად, განხორციელდა საველე სამუშაოების მონიტორინგი.

გარდა ამისა, განხორციელდა შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის საველე სამუშაოთა და შინამეურნეობებში სოციალური დაუცველობის (მოწყვლადობა) კვლევის საველე სამუშაოების მონიტორინგი.

შემოწმდა ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების დეტალურ გამოკვლევაში მონაწილე ინტერვიუერების მუშაობა.

2010 წლის მსგავსად, საქსტატის მონიტორინგის სამსახურმა 2011 წელსაც ჩაატარა "სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პროექტის გავლენის შეფასება" პროექტის მონიტორინგი.

მთლიანობაში, გაკონტროლებულ ინტერვიუერთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 411, ხოლო ველზე გადამოწმებული მისამართების რაოდენობამ – 1237.

მომხმარებელთა მომსახურება

საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსებულია მეთოდოლოგიური განმარტებები ყველა ძირითადი სტატისტიკური მიმართულებებისათვის (ფასები, დასაქმება, საარსებო მინიმუმი, ეროვნული ანგარიშები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ბიზნეს სტატისტიკა). აქვე გახსნილია ვებ-ფორუმი, სადაც ნებისმიერ მსურველს კვლევების მეთოდილოგიასთან დაკავშირებით შეუძლია გამოთქვას თავისი მოსაზრება ან დასვას შეკითხვა.

საქსტატის ვებ-გვერზე გაკეთდა ბმულები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროსტატისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მეთოდოლოგიებზე და სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე.

საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებით, ვებ-გვერდზე განთავსებულია შინამეურნეობების და სამომხმარებლო ფასების ინდექსების მონაცემთა ბაზები. ეს იძლევა საშუალებას, რომ ნებისმიერი მომხმარებელი თავად გაეცნოს კვლევის შედეგებს, უფრო დეტალურად გაანალიზოს ფასების, შინამეურნეობებისა და შრომის სტატისტიკის ძირითადი მონაცემები, და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, შეაფასოს საქსტატის მიერ მიღებული მონაცემების ობიექტურობა. ეს სერიოზული ნაბიჯია სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ნდობის მოპოვების საქმეში.

2011 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გამჭირვალე საქმიანობისათვის საქსტატი დაჯილდოვდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სერტიფიკატით. გარდა ამისა, ამავე ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გამჭირვალობის კუთხით, საქსტატის ვებ-გვერდი შეფასდა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის.

ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად თავსდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხების და ვებ-გვერდზე შემოსულთა რაოდენობის შესახებ. ეს ყველაფერი აჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს სამსახური ინფორმაციის გავრცელების კუთხით. 2011 წლის განმავლობაში:

- მომზადდა 53 პუბლიკაცია;
- გავრცელდა 155 პრეს-რელიზი;
- საქსტატიდან წერილობით გასულია 1 609 ერთეული სტატისტიკური ინფორმაცია;
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 192 999 მომხმარებელმა (რაც 39 პროცენტით მეტია 2010 წლის ანალოგიურ მონაცემზე).

აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას 2011 წლის ივლისში თბილისის სტატისტიკის სამმართველოში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებს. კერძოდ, თბილისის სტატისტიკის სამმართველო გარდაიქმნა თბილისის სტატისტიკის ბიუროდ, რომელიც უფრო მეტად ორიენტირებული გახდა რესპონდენტებზე და სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების მომსახურებაზე. შეიქმნა რესპონდენტებთან ურთიერთობის ახალი სისტემა, დამტკიცდა რესპონდენტებთან კომუნიკაციის სახელმძღვანელო. თბილისის ბიუროს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი.

MCG ფინანსური დახმარებით დაბეჭდილი და გავრცელებული იქნა სტატისტიკური პუბლიკაციები "საქართველო ციფრებში", საქართველოს მუნიციპალიტეტების რუკები და სოფლის ინფრასტრუქტურის აღწერის შედეგები.

2011 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული სამმართველოების მიხედვით შემდეგია:

ეროვნული ანგარიშების სამმართველო

- მიმდინარეობდა და კვლავაც გრძელდება მუშაობა ეროვნული ანგარიშების მსოფლიოში აღიარებულ ექსპერტებთან. თანამშრომლობის ფარგლებში განხილული იქნა ეროვნული ანგარიშების არსებული მდგომარეობა და დაისახა სამუშაო გეგმა, რაც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასებების განხორციელებას. ამ მიმართულებით წლის დასაწყისში გაანგარიშდა 2009 წლის შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება დეტალური სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, ხოლო წლის ბოლოს იგივე მაჩვენებლები 2010 წლისთვის, რაც საფუძვლად დაედო ფასების სტატისტიკის სამმართველოს მიერ შედგენილ ახალ სამომხმარებლო კალათას და მასში შემავალი პროდუქციის წონებს;
- პოლონეთის სტატისტიკასთან თანამშრომლობის შედეგად, დაიწყო რეგიონალური მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება ევროსტატის სტანდარტების შესაბამისად;
- მნიშვნელოვანი და ცალკე აღნიშვნის ღირსია ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. ეროვნული ანგარიშების სამმართველოში დაიწყო დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი სექტორულ ჭრილში. ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა სტატისტიკური და საგადასახადო დეკლარირების ხარისხის შედარება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებების წარმოება. დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაცია საფუძვლად უდევს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გაანგარიშებას;
- ეროვნული ანგარიშების სამმართველოში ჩატარდა ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების დეტალური გამოკვლევა. გამოკვლევის მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებული იქნა ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების მაჩვენებელი ძირითადი კაპიტალის კატეგორიების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია საფუძვლად დაედება 2012 წლის მარტში კაპიტალის ანგარიშის ფორმირებას SNA 2008 მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- 2011 წლის მარტში ეროვნული ანგარიშების სამმართველოს უფროსი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ყაზახეთში, ქალაქ ასტანაში, სადაც ჩატარდა გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის მიერ ორგანიზებული სემინარი სეზონური შესწორებების საკითხებზე. სემინარის მონაწილეებს წარუდგინეს ახალი პროგრამა “Demetra+”. აღნიშნული პროგრამის შესწავლის შედეგად განხორციელდა მუდმივ ფასებში მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკური მწკრივის სეზონური შესწორება “X12-ARIMA” მეთოდის გამოყენებით;
- ეროვნული ანგარიშების სამმართველოში დაიწყო აგრობიზნესისა და ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვების გაანგარიშება.

ფასების სტატისტიკის სამმართველო

<u>სამომხმარებლო ფასების ინდექსი</u>

- მონაცემთა შეგროვების საველე სამუშაოებისთვის დაინერგა ელექტრონული კითხვარი, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად შემცირდა მონაცემთა მიღებისა და გაანალიზების ვადები. ფასებზე დაკვირვების მომდევნო დღეს უკვე შესაძლებელი ხდება მონაცემთა ცენტრალურ ოფისში გამოგზავნა და მათი ანალიზი;
- ინდექსის სათანადო ფორმატით გავრცელების მიზნით შემუშავდა ახალი პრეს რელიზი, რაც მომხმარებელს უადვილებს ქვეყანაში არსებული ინფლაციური მოვლენების ადეკვატურად შეფასებასა და გაანალიზებას;
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ურთიერთთანამშრომლობა და აზრთა გაზიარება საერთაშორისო ექსპერტებთან სამომხმარებლო ფასების ინდექსის კუთხით;
- მიმდინარეობდა შვედეთის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობა და მოეწყო შვედეთის ექსპერტების 1 ვიზიტი საქსტატში (სამომხმარებლო ფასების ინდექსთან დაკავშირებით) და ფასების სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მივლინება შვედეთში. შეხვედრების დროს მოხდა შვედეთის ფასების სტატისტიკაში დანერგილი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება;
- ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ROSC მისიის ექსპერტის მიერ შეფასდა მეთოდოლოგიაში არსებული ხარვეზები. მათი აღმოფხვრისა და გამოსწორების მიზნით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები;
- ზემოაღნიშნული რეკომენდაციებისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამომხმარებლო ფასების ინდექსის სახელმძღვანელოში მითითებული სტანდარტების გათვალისწინებით, მეთოდოლოგიაში შეტანილია ფუნდამენტური ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ინდექსის ხარისხსა და საიმედოობას. კერძოდ: 1. წონების გაანგარიშებისთვის ძირითად წყაროდ გამოყენებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მონაცემები, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის ნაცვლად; 2. ქალაქების წონების დასაანგარიშებლად გამოყენებულია რეგიონის მონეტარული დანახარჯები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ინდექსის მოცვას; 3. განხორციელდა საკვლევი ობიექტების ხელახალი შერჩევა ბრუნვების მოცულობის მიხედვით (ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე); 4. ჩატარდა შერჩეული ობიექტების გამოკვლევა სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების სპეციფიკაციების განსაზღვრის მიზნით; 5. სამომხმარებლო კალათიდან ამოღებულია ბინის გაყიდვის ღირებულება; 6. საშუალო ეროვნული ფასების დასაანგარიშებლად გამოყენებულია შეწონილი საშუალო არითმეტიკული ფორმულა (სადაც წონებად გამოიყენება რეგიონებისთვის მინიჭებული წონები); 7. გაუმჯობესდა მკაცრად სეზონური საქონლისა და მომსახურების ინდექსებთან დამოკიდებულება; 8. დაიგეგმა გრძელვადიანი საბაზო პერიოდის მქონე და 12 თვის საშუალო ინდექსების გამოქვეყნება.

<u>მწარმოებელთა ფასების ინდექსი</u>

- შვედეთის სტატისტიკასთან თანამშრომლობის ფარგლებში საქსტატში სამუშო ვიზიტით ორჯერ იმყოფებოდა შვედი ექსპერტი. სამუშაო

შეხვედრების დროს დაიგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები სამეწარმეო ფასების ინდექსის სრულყოფის მიზნით;

- IMF ROSC მისიაში მონაწილე ექსპერტმა წარმოადგინა ინდექსის სრულყოფის რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად ეხმიანებოდა შვედი ექსპერტის მიერ შემოთავაზებულ მიდგომებს;
- შედეგად, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და შვედეთის სტატისტიკის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ინდექსის მეთოდოლოგიაში შევიდა ფუნდამენტური ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ინდექსის ხარისხსა და საიმედოობას. კერძოდ: 1. საწარმოების შერჩევა მოხდა წარმოებული საქონლის მოცულობის მიხედვით; 2. წონების ძირითად წყაროდ გამოყენებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მონაცემები; 3. განახლდა კვლევის კითხვარები და შემუშავდა ინდივიდუალური კითხვარები შერჩეული საწარმოსათვის.

<u>საერთაშორისო შედარებების პროგრამა</u>

- ფასების სტატისტიკის სამმართველოში სამუშო ვიზიტით იმყოფებოდა საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც წარადგინა ვალუტების მყიდველობითი უნარის პარიტეტების დაანგარიშების პროგრამა და ჩაატარა პროგრამის გამოყენებისთვის სათანადო ტრენინგი;
- წლის განმავლობაში გრძელდებოდა თანამშრომლობა სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან. მოეწყო სომხეთისა და საქართველოს ფასების სტატისტიკის თანამშრომელთა 4 სამუშაო შეხვედრა ქ. თბილისში და ქ. ერევანში;
- 2011 წლის განმავლობაში ჩატარდა სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების 4 კვარტალური რეგისტრაცია;
- ფასების სტატისტიკის თანამშრომელთა მიერ განხორციელდა საინვესტიციო საქონლისა და სამშენებლო მასალების ფასების მოზიდვა და სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების კვარტალური მონაცემების ელექტრონული დამუშავება;
- სომხეთის სტატისტიკის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრებისას მოხდა I და II კვარტალების მონაცემების შედარება და კონტროლი; შეხვედრისას დაიგეგმა პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები.

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო

- საგარეო სტატისტიკის სექტორი გამოიყო მაკროეკონომიკური სტატისტიკის სამმართველოდან და ცალკე სტრუქტურულ ერთეულად (სამმართველო) ჩამოყალიბდა;
- ევროკავშირის პროგრამა TAIEX-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მოეწყო საქსტატის 3 თანამშრომლის ერთკვირიანი სასწავლო ვიზიტი ლიტვის სტატისტიკაში და ლიტველი ექსპერტების ვიზიტი საქსტატში

საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიის გასაცნობად. დაიგეგმა 2012 წელს შესასრულებელი სამუშაოები;

- სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ ტრეინინგში - საგარეო ვაჭრობის სპეციალური პროგრამა „EUROTRACE";
- სამმართველოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო გაეროს მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა საქონლით საგარეო ვაჭრობის მეთოდოლოგიის 2011 წლის ვერსიის ახალი და განახლებული რეკომენდაციებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობების განხილვას (რეკომენდაციების დანერგვა ეტაპობრივად უნდა დაიწყოს 2012 წლიდან);
- მოხდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) სექტორული განაწილების კორექტირება IMF-ის ექსპერტებთან კონსულტაციებისა და მათი რეკომენდაციების შესაბამისად;
- დაიწყო FDI-ის გაანგარიშება საქართველოს რეგიონების ჭრილში;
- მოხდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარის სრულყოფა საერთაშორისო მეთოდოლოგიების უახლესი ცვლილებების გათვალისწინებით (სესხში კაპიტალიზაციის გამოყოფა, ფილიალების კონსოლიდირებული ბიუჯეტის მონაცემების გამოყენება, საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტალური შესწავლისათვის დამატებითი ველების შემოღება);
- FDI-ის გაანგარიშებაში ჩაერთო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მონაცემები (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი);
- განხორციელდა ეროვნული ბანკიდან ITRS-ის მონაცემების საფუძველზე მსხვილი ოპერაციებით FDI-ის მონაცემების შევსება და დაიწყო საწარმოთა მონაცემების მუდმივი კონტროლი;
- FDI-ის მონაცემების სრულყოფის მიზნით დაიწყო ინფორმაციის მიღება სახაზინო სამსახურიდან სხვადასხვა სახის საქმიანობისთვის გაცემული ლიცენზიების შესახებ;
- შემუშავდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური კითხვარის შევსების ინსტრუქცია და შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარდათ თბილისის ბიუროს თანამშრომლებს;
- გაფორმდა შეთანხმება სსიპ შემოსავლების სამსახურთან საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზების დეტალიზაციისა და ინფორმაციის მიღების ვადების შესახებ;
- საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსდა საგარეო ვაჭრობის მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის უფრო დეტალიზებულ (4 ნიშნა) დონეზე;
- გადაიხედა საგარეო ვაჭრობის 2009-2011 წლების დინამიკური მწკრივი და განხორციელდა საწყობის რეჟიმის მონაცემებით მონაცემთა ბაზის კორექტირება;
- მომხმარებლის მეტად ინფორმირებისათვის საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსდა სამმართველოს მიერ წარმოებული პროდუქტების ჩამონათვალი.

ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო

- საქსტატისათვის შემოსავლების სამსახურის მიერ ინფორმაციის გადაცემის წესის შესახებ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, შემოსავლების სამსახურიდან მიღებულია აქტიურ სუბიექტთა ბაზა, რომელიც დამუშავდა რეგისტრის აქტუალიზების თვალსაზრისით;
- ჩატარდა მიკროეკონომიკური აღწერა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგში;
- ჩატარდა სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების წლიური გამოკვლევა (2010 წლის შედეგების საფუძველზე);
- ჩატარდა ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების წლიური გამოკვლევა (2010 წლის შედეგების საფუძველზე);
- ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის ინტერვიუერებს ყველა რეგიონში ჩაუტარდათ ტრეინინგები და ტესტირება.
- მომზადდა პუბლიკაცია "მეწარმეობა საქართველოში, 2011";
- სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს ტრეინინგი შერჩევის მეთოდოლოგიაში;
- შემუშავდა ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევების დეტალური ინსტრუქციები;
- დაიწყო მუშაობა საწარმოთა ბაზის განახლებაზე ბაზის აქტუალიზაცია (დაზუსტდა საქმიანობის სახეები);
- განხორციელდა სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების ბაზის აქტუალიზაცია ტურიზმის ეროვნული სააგენტოდან მიღებული მონაცემების საფუძველზე;
- სამმართველოს თანამშრომელმა გაიარა 6-კვირიანი ტრეინინგი ინდოეთში (ქ. აჰმედაბადი) შერჩევისა და მონაცემთა ანალიზის მეთოდებთან დაკავშირებით;
- განხორციელდა საწარმოთა წლიური გამოკვლევის კითხვარის დეტალიზება და მიღებული მონაცემების დამუშავება ენერგეტიკის სტატისტიკის მაჩვენებლების სრულყოფისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით;
- დამატებით მოპოვებული იქნა და დამუშავდა ინფორმაცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ (ნატურალურ გამოსახულებაში);
- დამატებით მოპოვებული იქნა და დამუშავდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძის შესახებ;
- მომზადდა ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის ახალი პროგრამული პროდუქტი (შიდა მომხმარებლებისათვის);
- დაიწყო მუშაობა ონლაინ გამოკვლევის პროგრამული პროდუქტის შემუშავებაზე (გარე მომხმარებლებისათვის);
- დაიწყო მუშაობა ბიზნეს რეგისტრის ახალი პროგრამული პროდუქტის შემუშავებაზე;
- დაიწყო მუშაობა ახალი ბიზნეს რეგისტრის (ასევე შერჩევის ერთობლიობის) ჩამოყალიბებისა და მისი აქტუალიზების მიმართულებით.

სოციალური სტატისტიკის სამმართველო

<u>შინამეურნეობათა გამოკვლევების განყოფილება</u>

- გაუმჯობესდა ლოგიკური კონტროლის კომპიუტერის საშუალებით უზრუნველსაყოფად მომზადებული სპეციალური პროგრამა, დაემატა ახალი და დაიხვეწა არსებული კონტროლები. შესაბამისი ცვლილებები აისახა ლოგიკური კონტროლის განხორციელების აღწერილობის დოკუმენტში;
- გადაისინჯა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარები. აღნიშნულის შედეგად გამოკვლევის კითხვარებში განხორციელდა ცვლილებები – გაუქმდა შინდა09, საიდანაც გარკვეული კითხვები პირდაპირი თუ კორექტირებული სახით დაემატა შინდა01-ს, შინდა02-ს და შინდა05-ს. შინდა09-ის გაუქმებასთან ერთად ცვლილებები შევიდა საველე სამუშაოების განხორციელების მეთოდში – 2012 წლიდან გაუქმდა საწყისი ინტერვიუ, შესაბამისად 5 ინტერვიუს ნაცვლად (1 საწყისი და 4 კვარტალური) შინამეურნეობის გამოკითხვის მიზნით განხორციელდება 4 ინტერვიუ;
- საველე სამუშაოების შემდგომი კონტროლის განხორციელების მიზნით მომზადდა მინი-კითხვარი;
- მოხდა მონაცემთა ბაზის დიზაინის სრულყოფა და მომზადდა მონაცემთა ბაზის აღწერილობა, აგრეთვე პირველადი მონაცემების აგრეგირების პროცედურების აღწერილობა (კალკულაციები);
- განხორციელდა სამომხმარებლო ხარჯების საერთაშორისო კლასიფიკატორის (COICOP) შესაბამისობის უზრუნველყოფა შინამეურნეობების ხარჯების სტრუქტურასთან, გამოვლინდა და აღმოიფხვრა არსებული შეცდომები;
- გადაისინჯა მონაცემთა ბაზაში გამოყენებული აგრეგირების ალგორითმები, გამოვლინდა და აღმოიფხვრა არსებული შეცდომები;
- განხორციელდა პირველადი ბაზების გადაყვანა SQL სერვერზე და კვარტალური ბაზების გაერთიანება, რამაც შესაძლებელი გახადა მონაცემთა ბაზაში კვარტალებს შორის კონტროლების განხორციელება;
- განხორციელდა 2011 წელს შერჩეული უბნების სრული აქტუალიზაცია;
- დაინერგა ძირითად სტატისტიკური მაჩვენებლების საიმედოობის გაანგარიშება;
- დაიწყო მუშაობა კითხვარების შევსების დეტალური ინსტრუქციების მომზადებაზე, რომელიც დასრულდება 2012 წელს;
- მონაცემთა ბაზის გაწმენდის და დამუშავების სრულყოფის მიზნით დაიწყო მუშაობა დეტალური ინსტრუქციების მომზადებაზე და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, აგრეთვე კვარტალებს შორის კონტროლების შემუშავებაზე და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე. სამუშაოები დასრულდება 2012 წელს;
- დაიწყო მუშაობა მონაცემთა იმპუტაციაზე – 2012 წლის სამუშაო გეგმით განსაზღვრული ნაწილი დასრულდება 2012 წელს;
- 2011 წელს განხორციელდა ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურის თანამშრომელთა 2 სამუშაო ვიზიტი. 2012 წლიდან დაგეგმილია ორმხრივი თანამშრომლობის პროექტის დაწყება, რომლის განხორციელებისთვისაც ნიდერლანდების მთავრობამ გამოყო 200 000 ევრო.

<u>შრომის სტატისტიკის განყოფილება</u>

- დაიწყო სახელმწიფო მმართველობის სფეროს ორგანიზაციებში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობის, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასისა და ძირითადი კაპიტალის საბალანსო ღირებულების ყოველთვიური გამოკვლევა;
- გაუმჯობესდა არასახელმწიფო (არასამთავრობო) სექტორის მოცვა. კერძოდ, არასახელმწიფო არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები (ააიპ) შერჩევითი პრინციპით ჩართული იქნა არასამეწარმეო სექტორის ორგანიზაციების კვლევაში „მონაცემები შრომის შესახებ“;
- განახლდა ქ. თბილისის საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების შერჩევა.

<u>სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილება -</u>

- გაერთიანებული ერების ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ფინანსური და ტექნიკური დახმარებით მომზადდა პუბლიკაციები:
- „ქალი და კაცი საქართველოში“ ანალიტიკური ვერსია;
- „ქალი და კაცი საქართველოში“ მოკლე ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- „სახელმძღვანელო გენდერული სტატისტიკის გამოყენების შესახებ“.

მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო

- 2011 წლის 1 აპრილიდან პირველადი დემოგრაფიული მონაცემების მიღება ხდება ელექტრონულ ფორმატში;
- 2011 წელს პირველად გამოქვეყნდა 6 თვის ძირითადი დემოგრაფიული შედეგები (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება);
- 2011 წლიდან მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მთლიანად SPSS -ში;
- გის ჯგუფის წევრების მიერ სამმართველოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ გის პროგრამულ პროდუქტებზე მუშაობის ტრეინინგი;
- გის ჯგუფის მიერ იქმნება (დასრულდება 2012 წლის მარტის ბოლოს) ქ. თბილისის შენობების გეომონაცემთა ბაზა, რომელიც ინფორმაციული მოცულობით უნიკალურია, და დასრულების შემდეგ, გაფორმებული მემორანდუმის თანახმად ინფორმაცია გადაეცემა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;
- მომზადდა თემატური რუკები დემოგრაფიული კრებულისათვის.

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო

- ინტერვიუერთა მუშაობის ხარისხის შეფასებისა და კონტროლის მიზნით დაიწყო მათ მიერ შევსებული თითოეული კითხვარის შეფასება 10 ბალიანი შკალით;

- შერჩევის ბაზის სრულყოფის მიზნით განხორციელდა ბაზის განახლება, კერძოდ ქვეყანაში არსებული მსხვილი სასოფლო მეურნეობების საფუძველზე. მოზიდული იქნა ინფორმაცია მუნიციპალიტეტებში არსებული დიდი სასოფლო მეურნეობების შესახებ, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დახმარებით. ასევე დიდ სასოფლო მეურნეობებზე მონაცემები გადამოწმდა ტელეფონით. აღნიშნული მონაცემებით განხორციელდა როგორც შერჩევის ბაზაში არსებული მონაცემების განახლება, ისე ახალი მეურნეობების დამატება შერჩევის ბაზაში;
- სამმართველოში გაძლიერდა საველე სამუშაოების კოორდინაცია და კონტროლი;
- განხორციელდა მეორე და მესამე კვარტალებში ინტერვიუერთა მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად განთავისუფლებული ინტერვიუერების ჩანაცვლება მოხდა წინა წელს შექმნილი ინტერვიუერების სარეზერვო ქსელიდან;
- დაიწყო მონაცემთა ლოგიკური კონტროლების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა;
- შეიქმნა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინტერვიუერების, კოორდინატორებისა და სარეზერვო პერსონალის ერთიანი მონაცემთა ბაზა;
- სასოფლო მეურნეობების შერჩევითი გამოკვლევის შედეგების დეტალიზაციის მიზნით გამოკითხვის კითხვარში შეტანილი იქნა ცვლილებები;
- მომზადდა პუბლიკაცია "საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა";
- წლის მანძილზე მიმდინარეობდა ხშირი სამუშაო შეხვედრები აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ექსპერტებთან;
- წლის მანძილზე მიმდინარეობდა პერიოდული შეხვედრები სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მომხმარებლებთან;
- პროგრამა "სოფლის მეურნეობის განვითარების ინიციატივა კავკასიის რეგიონში" ახორციელებს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პროექტს კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში ვეტერინარული მომსახურების ხარისხის შესწავლის მიზნით. აღნიშნულ რეგიონებში ჩატარდა გამოკვლევა: "ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პროექტის გავლენის შეფასება" (4 რაუნდი). მონაცემთა ბაზა გაწმენდილი სახით გადაეცა დამკვეთს;
- აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ექსპერტებისა და საქსტატის თანამშრომელთა მონაწილეობით ჩატარდა კოორდინატორთა და საუკეთესო ინტერვიუერთა ტრენინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- სამმართველოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი შერჩევის მეთოდოლოგიის შესახებ;
- ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დაფინანსებით სამმართველოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ერთდღიანი ტრეინინგი ეფექტური ტრეინინგის ჩატარების მეთოდების შესახებ - "ტრენერთა ტრენინგი";
- სოფლის მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლებმა ტრეინინგი ჩაუტარეს ინტერვიუერებს ყველა მუნიციპალიტეტში, სადაც დეტალურად იქნა განხილული კითხვარები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო

- დაიწყო ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის დანერგვის პროცესი. ჩაუტარდათ ტრენინგი თანაშრომლებს, რომლებიც უნდა მოემსახურონ საქმისწარმოების პროგრამას და უზრუნველყონ მისი გამართული მუშაობა.
- დაიწყო მუშაობა ერთიანი სტატისტიკური ბაზის შექმნაზე, ჩამოყალიბდა ერთიანი მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და დაიწერა საქსტატის შიდა მოხმარების პროგრამის სატესტო ვარიანტი ერთიან მონაცემთა ბაზასთან სამუშაოდ.
- ჩამოყალიბდა ახალი ბიზნეს რეგისტრის სამართავი პროგრამის კონცეფცია და დაიწყო მუშაობა მისი რეალიზაციისათვის.
- შეიქმნა ონლაინ ფორმები საქსტატის კვლევებში (ბიზნესის კვარტალური კვლევა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევა) მონაწილე საწარმოებისათვის კითხვარების შევსების პროცესის გასამარტივებლად.

თბილისის ბიურო

- თბილისის სტატისტიკის სამმართველო გარდაიქმნა საქსტატის თბილისის ბიუროდ;
- მომზადდა ეფექტური კომუნიკაციის სახელმძღვანელო ბიუროს თანამშრომლებისათვის;
- მომზადდა ბიუროს შიდა დებულება;
- განისაზღვრა ბიუროს სტრატეგია და მიზნები;
- მომზადდა თანამშრომლების ანგარიშგების ფორმები (კონტროლი ველის მიმდინარეობის დროს და შედეგების შეჯამება);
- დაიწყო გამოუპასუხებლობის და უარების კონტროლი თანამშრომლების მიხედვით (ყოველკვარტალურად);
- IT-სთან თანამშრომლობით შემუშავდა და დაინერგა ახალი ანგარიშები ველის პროცესის კონტროლის, თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დათვლის და გამოუპასუხებლობის გაანგარიშების მიმართულებით, კერძოდ:
    - დავალების შესრულების შედეგები (საგარეო, სამეწარმეო);
    - გამოუპასუხებელი საწარმოების რაოდენობა სტატუსებად (საგარეო, სამეწარმეო);
    - გამოუპასუხებელი საწარმოების სია სტატუსებად (საგარეო, სამეწარმეო);
    - ჩაწერილი კვარტალური ფორმების რაოდენობა შემსრულებლისა და კვარტალების მიხედვით;
- განხლდა და რესპონდენტებს დაეგზავნათ კითხვარის შევსების ინსტრუქცია (საგარეო, ბიზნესი);
- ჩატარდა საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის ტრენინგი და ტესტირება;
- ჩატარდა მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ გამოკვლევის ტრენინგი და ტესტირება;
- ჩატარდა ეფექტური კომუნიკაციის ტრენინგი და ტესტირება;
- მომზადდა პრაქტიკანტების პრაქტიკის გავლის ინსტრუქცია;
- ბიუროში განახლდა და დაემატა ტექნიკური აღჭურვილობა;
- გაიზარდა კითხვარების ელექტრონული მოზიდვის წილი (III კვარტალში 73.2%-მდე).

საერთაშორისო თანამშრომლობა

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა ყოველთვის აქტიურად ხორციელდებოდა სტატისტიკის დეპარტამენტის დროსაც, მაგრამ დღეს, მას შემდეგ, რაც სამსახური გახდა დამოუკიდებელი, დონორების და სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების მხრიდან ინტერესმა მნიშვნელოვნად მოიმატა.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ როგორც 2010, ისე 2011 წელი საკმაოდ წარმატებული იყო საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებითაც. სტატისტიკის დეპარტამენტს წარსულშიც იღებდა საკმაოდ დიდ ფინანსურ თუ ტექნიკურ დახმარებას, მაგრამ საქსტატის დამოუკიდებელ სამსახურად ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო აქტიური გახადა ეს პროცესი. გააქტიურდა თანამშრომლობა როგორც დონორ ორგანიზაციებთან, ისე ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან. შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობის გამოყოფა:

- მსოფლიო ბანკი რეგულარულად ატარებს ქვეყნების სტატისტიკური პოტენციალის შეფასებას. პოტენციალის მაჩვენებლის გაანგარიშებისთვის განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციებისადმი ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისობა სამ სფეროში: მეთოდოლოგია, მონაცემთა წყაროები, სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების პერიოდულობა და დროულობა. საქართველოს სტატისტიკური პოტენციალის მაჩვენებელი 2004–2011 წლებში 67–დან 94 ქულამდე (40 პროცენტით) გაიზარდა. ზრდის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის განვითარებად ქვეყნებს შორის. პოტენციალი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 65–ს შეადგენს.
- მსოფლიო ბანკის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით მომზადდა სტატისტიკის განვითარების პირველი ეროვნული სტრატეგია. სტრატეგიაში დეტალურადაა გაწერილი საქართველოს სტატისტიკური სისტემის განვითარების პრიორიტეტები 2011-2014 წლებში. სტრატეგიული გეგმა რამდენიმე ძირითადი ნაწილისგან შედგება: სტატისტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება, ძირითადი გამოწვევები, პრიორიტეტებზე დაფუძნებული დეტალური სამუშაო პროგრამა და საქსტატის განვითარების ბიზნეს გეგმა. სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში 2011 წლის მაისში მოხდა საქსტატის ხელმძღვანელების და სტრატეგიაზე მომუშავე მსოფლიო ბანკის კონსულტანტების შეხვედრა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. ამ შეხვედრაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გადამუშავებული სტრატეგია ოფიციალურად დამტკიცდა 2011 წლის აგვისტოში, ხოლო 2011 წლის ნოემბერში მოხდა სტრატეგიის ნაბეჭდი ვერსიის პრეზენტაცია.

სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის კონტექსტშიც. კერძოდ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ძირითად დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სტატისტიკური სისტემის ევროსტატთან დაახლოებისთვის მნიშვნელოვანია სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის არსებობა.

გარდა ამისა, სტრატეგია ერთგვარი სახელმძღვანელოა დაინტერესებული დონორებისთვისაც.

- 2011 წლის ივნისში შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით შვედეთის სტატისტიკის სამსახურთან ერთად დაიწყო ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც შვედეთის სტატისტიკა საქსტატს დახმარებას გაუწევს მთლიანად მეთოდოლოგიის (მათ შორის შერჩევის, კითხვარების დიზაინის, მეტამონაცემების, მონაცემთა ანალიზის, მონაცემთა შეყვანის და გავრცელების) მიმართულებით, აგრეთვე, ეროვნული ანგარიშების, ფასების სტატისტიკის, მარკეტინგის, ბიზნეს სტატისტიკის, IT, გენერალური მენეჯმენტის გაუმჯობესების მიმართულებით. პროექტის ხანგრძლივობაა 3 წელი, ბიუჯეტი დაახლოებით 4 მილიონი ლარი და ის მთლიანად ფინანსდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ. პროექტის ფარგლებში, 2011 წლის განმავლობაში საქსტატში განხორციელდა შვედეთის სტატისტიკის 9 მისია, ხოლო საქსტატიდან შვედეთში განხორციელდა პირველი გაცნობითი ვიზიტი.
- 2011 წლის ოქტომბერში საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტანდარტების და ნორმების შეფასების (ROSC) მისიამ იმუშავა, რომელმაც საქართველოს სტატისტიკური სისტემის შეფასება გააკეთა ფინანსური და ეკონომიკური სტატისტიკის (მათ შორის მონეტარული და ფისკალური) კუთხით. მისიის მიზანი იყო ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის სისტემის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი) შეფასება. კერძოდ, სსფ–ის მონაცემთა ხარისხის სტანდარტების დაცვის მდგომარეობის შესწავლა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოში ეროვნული ანგარიშების, ფასების სტატისტიკის, ფისკალური და მონეტარული სტატისტიკის და საგადასახდელო ბალანსის წარმოების პრაქტიკას და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან მისი შესაბამისობის ხარისხს.

მისიის შედეგების მიხედვით მომზადდა მოხსენება, რომელიც განთავსდა სავალუტო ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მოხსენებაში საქართველოს სტატისტიკური სისტემის მდგომარეობა შეფასებული იქნა, როგორც ეფექტური და წარმატებული. გარდა ამისა, მომზადდა სპეციალური რეკომენდაციები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიმართ. რეკომენდაციები ძირთადად შეეხო კოორდინაციას, არასრულყოფილ რესურსებს და ცალკეულ მეთოდოლოგიურ საკითხებს ფასებში და ეროვნულ ანგარიშებში. ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა საქსტატის მიერ, რის შესახებაც აღნიშნულია ქართული მხარის მიერ მომზადებულ დოკუმენტში. სავალუტო ფონდის საბოლოო მოხსენება და ქართული მხარის პასუხი განთავსებულია როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ასევე საქსტატის ვებ-გვერდზე.

- 2010-2011 წლების განმავლობაში, ერთობლივი პროექტის დაგეგმვის მიზნით, საქსტატში განხორციელდა ჰოლანდიის სტატისტიკის დელეგაციების რამდენიმე ვიზიტი. ჰოლანდიის მთავრობის მიერ დაფინანსებული 200 000 ევროს ღირებულების პროექტი სავარაუდოდ დაიწყება 2012 წლიდან და ძირითადად ფოკუსირებული იქნება შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მეთოდოლოგიურ გაუმჯობესებაზე.
- USAID–ის მიერ დაფინანსებული მსოფლიო სწავლების (World Learning) პროექტის ფარგლებში პროექტმა FORECAST-მა საქსტატისთვის შეიძინა 20 მინი კომპიუტერი ფასების სტატისტიკური კვლევისთვის და დააფინანსა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და საქსტატის თანამშრომლების ტრენინგი. 2011 წლის აპრილიდან საქსტატმა პირველად დანერგა ელექტრონულ კვლევა. ნაცვლად ქაღალდის კითხვარებისა, რომელთა ტრანსპორტირება ყოველთვიურად

ხდებოდა თბილისის გარდა საქართველოს 4 ქალაქიდან, კითხვარები სამომხმარებლო ფასებზე ელექტრონულად გამოიგზავნება ინტერვიუერების მიერ და ავტომატურად განთავსდება მონაცემთა ბაზაში. კვლევის სრული ელექტრონიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს გამოკვლევის დროს და ამარტივებს მონაცემების დათვლას, რაც კიდევ უფრო საიმედოს ხდის ინფლაციის მაჩვენებელს.

2011 წლის ზაფხულში დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდა საქსტატისა და პოლონეთის სტატისტიკურ სამსახურის თანამშრომლობის პროექტი, რომლის მიზანი იყო საქართველოს რეგიონული ანგარიშების განვითარება და მისი მეთოდოლოგიური სრულყოფა. პროექტის შედეგად, საქსტატმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რეგიონული ანგარიშების წარმოების ხარისხი.

- მილენიუმის განვითარების პროგრამის (MCG) დაფინანსებით გამოიცა პუბლიკაციები MCG-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული სოფლის ინფრასტრუქტურის აღწერის შედეგების შესახებ, საქართველოს მუნიციპალიტეტების რუკები და პუბლიკაცია საქართველო ციფრებში 2010. გარდა ამისა, MCG-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტერენინგების საფუძველზე საქსტატის თანამშრომლებს გადაეცათ სპეციალური სერტიფიკატები SPSS და STATA პროგრამებში.
- საქსტატმა აზიის განვითარების ბანკის 2010 წლის ყოველწლიური პუბლიკაციის "აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ძირითადი მაჩვენებლები" მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის აზიის განვითარების ბანკის სერტიფიკატი მიიღო.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის "სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაცია მოქმედებისთვის" ფარგლებში, საქსტატმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უმასპინძლეს სასურსათო უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მომხმარებელთა სამუშაო შეხვედრას.
- 2011 წლის დეკემბერში სოფლის მეურნეობის სტატისტიკური გამოკვლევის ინტერვიურებს და კოორდინატორებს ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დახმარებით ჩაუტარდათ ტრენინგი.
- გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) საქსტატს 2011 წლისთვის დახმარება 16 000 აშშ დოლარი გამოუყო, რომელიც მოხმარდა გეო-ინფორმაციული სისტემების (GIS) სამუშაო ჯგუფის ხელფასს და თანამშრომელთა სასწავლო მივლინებებს.

დამატებით, გაეროს მოსახლეობის ფონდმა საქსტატს საჩუქრად გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც გამოყენებული იქნა საქსტატის GIS ჯგუფის მიერ.

- 2011 წლის ივნისში ევროკავშირის TAIEX პროგრამის ფარგლებში საქსტატის სამუშაო ჯგუფი ეწვია ლიტვის სტატისტიკის სამსახურს, ხოლო ოქტომბერში ლიტველი კოლეგები სტუმრობდნენ საქსტატს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კვლევის და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოცდილების გასაზიარებლად.

არსებული პრობლემები

საგრძნობი პროგრესის და ცვლილებების მიუხედავად, სამწუხაროდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინაშე კვლავაც დგას მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად დიდი დრო და ცვლილებებია საჭირო. სტატისტიკის დეპარტამენტს როგორც მთავრობის, ასევე დონორების მხრიდან ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა. დღესაც, საქსტატის შექმნის პირველივე დღიდან მთავრობასთან, დონორ ორგანიზაციებთან თუ სხვა პარტნიორებთან ერთად ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მიმდინარეობს არსებული პრობლემების მოგვარებაზე მუშაობა. პრობლემები ძირითადად უკავშირდება ნდობის არასაკმარის ხარისხს და რესპონდენტების მხრიდან გამოუპასუხებლობას.

ასევე აღსანიშნავია სტატისტიკური სამუშაოების არასაკმარისი კოორდინაციის პრობლემაც. ოფიციალური სტატისტიკის ხარისხის ამაღლებისთვის საჭიროა აქტიური და ყოველდღიური კოორდინაცია ყველა იმ სამსახურთან და დაწესებულებასთან, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკის ადმინისტრაციულ წყაროს წარმოადგენენ ან თვითონ აწარმოებენ საკუთარ უწყებრივ სტატისტიკას.

არსებული პრობლემების მოგვარებისთვის და წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად შემდეგი ქმედებები გვევლინება:

- მუდმივი დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან;
- მონაცემთა გავრცელების ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა;
- აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა;
- სტატისტიკური კვლევების მუდმივი მონიტორინგი.

გეგმები 2012 წლისთვის

ბოლოს შეიძლება ვისაუბროთ იმ გეგმებზე, რომლებიც საქსტატის საბჭომ 2012 წლისთვის დასახა. ესენია:

- სტატისტიკური კითხვარების ელექტრონული შევსების სისტემის დანერგვა;
- ბიზნეს რეგისტრის ახალი პროგრამული პროდუქტის შექმნა;
- მონაცემთა გავრცელების უფრო სრულყოფილი და მოქნილი IT სისტემების დანერგვა;
- საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის NACE REV.2-ის შემუშავება ეროვნულ დონეზე;
- ევროსტატის მიერ საქართველოს სტატისტიკის გლობალური შეფასება;
- 2012 წელს ევროსტატის მაღალი დონის სემინარის მასპინძლობა;
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდოლოგიის დანერგვა მწარმოებელთა ფასების ინდექსის დათვლაში, რომელიც ითვალისწინებს საწარმოთა შერჩევიდან პროდუქტებზე დაფუძნებულ შერჩევაზე გადასვლას;
- ბიზნეს სტატისტიკის კვლევებში შერჩევის მეთოდოლოგიის დახვეწა, უფრო დეტალიზებული სტრატიფიცირება, რაც პირველ რიგში შეეხება საწარმოების ზომებს;
- საგარეო ვაჭრობის მონაცემების დარგების მიხედვით გამოქვეყნება;
- სამეწარმეო სექტორის საინვესტიციო პოზიციის შემუშავება.



<u>დანართი 1: საქსტატის სტრუქტურა 01.01.2011 თვის, ერთი თვის სახელფასო ფონდი - 103 550 ლარი</u>



<u>დანართი 2. საქსტატის სტრუქტურა 01.07.2011 თვის, ერთი თვის სახელფასო ფონდი - 103 200 ლარი</u>



<u>დანართი 3 : საქსტატის სტრუქტურა 01.01.2012 თვის , ერთი თვის სახელფასო ფონდი - 138 350 ლარი</u>

დანართი №4. საქსტატის 2011 წლის ანგარიში (ბიუჯეტი და გრანტები, ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2011 წლის დამტკიცებული გეგმა	მ. შ., საბიუჯეტო სახსრები	მ. შ., კრედიტები და გრანტები	ცვლილებები	დაზუსტებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები)	2011წლის შესრულება (საბიუჯეტო სახსრები)	2011 წლის შესრულება (კრედიტები და გრანტები)	2011 წლის შესრულებასულ	შესრულება საბიუჯეტო ასიგნებების %-ში
47 00	**სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი**	**4 512 000.0**	**4 201 000.0**	**311 000.0**	**0**	**4 201 000.0**	**3 698 372.18**	**309 005.28**	**4 007 377.46**	89
	მომუშავეთა რიცხოვნობა	149,0	149,0	0,0	0,0				**0,0**	
	ხარჯები	4 507 000.0	4 196 000.0	311 000.0	-206000	3 990.000.0	3 501 707.24	309 005 .28	**3 810 712 .52**	89
	შრომის ანაზღაურება	1 350 600.0	1 350 600,0	0	112 000.0	1 462 600	1 462 596.44		1 462 596.44	100
	საქონელი და მომსახურება	3 121 400.0	2 810 400.0	311 000.0	-330100	2 480 300.0	1 997 336.13	309 005.28	2 306 341.41	83
	სოციალური უზრუნველყოფა	25 000.0	25 000.0	0	0	25 000.0	21 492.18		21 492.18	86
	სხვა ხარჯები	10 000.0	10 000.0	0	12 100.0	22 100.0	20 282.49	0	20 282.49	92
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5 000	5 000	0	78 000.0	83 000.0	76 570.37	0	76 570.37	98
	ვალდებულებების კლება				128 000.0	128 000.0	120 094.57	0	120 094.57	94

47 01	**სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის აპარატი**	**2 284 100.0**	**2 000 000.0**	**284 100.0**	**450 100.0**	**2 734 200.0**	**2 284 675.28**	**282 182.87**	**2 566 858.15**	99
	მომუშავეთა რიცხოვნობა	149,0	149,0			149,0	149,0		**149,0**	100
	ხარჯები	2 279 100.0	1 995 000.0	284 100.0	244 100.0	2 239 100.0	2 088 010.34	282 182.87	**2 370 193.21**	94
	შრომის ანაზღაურება	1 350 600.0	1 350 600,0	0	112 000.0	1 462 600	1 462 596.44		1 462 596.44	100
	საქონელი და მომსახურება	893 500.0	609 400.0	284 100.0	120 000.0	729 400.0	583 639.23	282 182.87	865 822.1	85
	სოციალური უზრუნველყოფა	25 000.0	25 000.0	0	0	25 000.0	21 492.18		21 492.18	86
	სხვა ხარჯები	10 000.0	10 000.0	0	12 100.0	22 100.0	20 282.49	0	20 282.49	92
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5 000	5 000	0	78 000.0	83 000.0	76 570.37	0	76 570.37	98
	ვალდებულებების კლება				128 000.0	128 000.0	120 094.57	0	120 094.57	94
47 02	**სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა**	**1 216 000.0**	**1 216 000.0**	**0,0**	**-421100**	**794 900.0**	**677 911.3**		**677 911.3**	85
	ხარჯები	1 216 000.0	1 216 000.0	0,0	-421100	794 900.0	677 911.3		**677 911.3**	85
	საქონელი და მომსახურება	1 216 000.0	1 216 000.0	0	-421100	794 900.0	677 911.3		677 911.3	85

47 03	**მოსახლეობის და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა**	**126 900.0**	**100 000.0**	**26 900.0**	**0**	**100 000.0**	**93 459.09**	26 822.41	**120 281.5**	95
	ხარჯები	126 900.0	100 000.0	26 900.0	0	100 000.0	93 459.09	26 822.41	**120 281.5**	95
	საქონელი და მომსახურება	126 900.0	100 000.0	26 900.0	0	100 000.0	93 459.09	26 822.41	120 281.5	95
47 04	**შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა**	**540 000,0**	**540 000,0**	**0,0**	**0**	**540 000,0**	**367 335.94**		**367 335.94**	68
	ხარჯები	540 000,0	540 000,0	0,0	0	540 000,0	367 335.94		**367 335.94**	68
	საქონელი და მომსახურება	540 000,0	540 000,0	0	0	540 000,0	367 335.94		367 335.94	68
47 05	**სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა**	**345 000,0**	**345 000,0**	**0,0**	**-29000**	**316000**	**274 990,57**		**274 990,57**	87
	ხარჯები	345 000,0	345 000,0	0,0	-29000	316000	274 990,57		**274 990,57**	87
	საქონელი და მომსახურება	345 000,0	345 000,0		-29000	316000	274 990,57		274 990,57	87

<u>დანართი 5.</u> საქსტატის მიერ 2011 წელს მიღებული გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება (ლარი)

გრანტის დასახელება და მიზნობრიობა	დონორის დასახელება (წყარო)	გრანტის მთლიანი მოცულობა (შეთანხმების მიხედვით)	ნაშთი 01.01.2011	2011წელს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ცნობის მიხედვით	ხარჯი 2011	ნაშთი 1.01.2012
ემ-სი-ჯი-ის პროგრამის ზეგავლენის შეფასების პროექტი, რომელიც გულისხმობს სოფლის ინფრასტრუქტურის აღწერის და შინამეურნეობის ინტეგრ. გამოკვლევის განხორციელებას	ემ-სი-ჯი"ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	3,105,398.0	536,598.0	261,435.6	261,435.6	0.00*
2006-2010 ეროვნული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიმდინარე 2010 წლის სამუშაო გეგმის (**AWP**) განხორციელება	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (**UNFPA**)	26,822.41		26,822.41	26,822.41	0.0
„საქართველოში გენდერული სტატისტიკის განვითარების ხელშეწყობა“	გაეროს ქალთა განვითარების ფონდი (**UNWOMEN**)	22,505.43		22,505.43	20,747.27	0.0*

<u>* შენიშვნა: აუთვისებელი თანხები წლის ბოლოს დაუბრუნდა დონორს</u>

<u>დანართი 6.</u> 2011 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ანგარიში (ლარი)

	ნაშთი 01.01.11	ჩამორიცხული თანხა	ხარჯი	გადახდილი დღგ	ნაშთი
საქართველოს აგრობიზნესის განვითარების ცენტრი (GCAD) (ვეტერინარული მომსახურების შესახებ სასოფლო მეურნეობების გამოკვლევა)	7,143.7	174,493.71	171,178.58	0.0*	10458.83
სოციალური დაუცველობის(მოწყვლადობა) შეფასება საქართველოში (UNDP)	0.0	92,898.08	85,338.36	0.0*	7559.72
გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF (ანალიტიკური ანგარიში, გენდერი)	0.0	8,200.0	8,200.0	0.0*	0.0
სხვა შემოსავლები ფასიანი მომსახურებიდან	2,169.1	49834.02	32442.5	6734.59	12,826.03
სულ:	9,312.8	325425.81	297159.44	6734.59	30844.58

<u>*შენიშვნა: დ.ღ.გ.-სგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული ოპერაცია</u>

დანართი 7. საქსტატის ბიუჯეტის, საშტატო რიცხოვნობის და თვის სახელფასო ფონდის დინამიკა 2004-2011 წლებში



	2004წ.	2005წ.	2006წ.	2007წ.	2008წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.
ბიუჯეტი	3020900	2177100	1947700	3006000	4672500	4332000	3215600	4201000
სახელფასო ფონდი	23921.3	44550	43916	57550	112550	112550	102250	103200
საშტატო ერთეული	510	189	189	169	169	169	149	149